

კომპოსტის უტილიზაცია ჯანსაღი ეკოსისტემისათვის

ლია მაჭავარიანი, გულნარა აფციაური, ელენე ნიკოლაიშვილი, იაშვე შელია

ელ-ფოსტა: lia.matchavariani@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ, მე-2 კორპ., თბილისი, 0179, საქართველო

მდგრადი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების საკითხის დანერგვა. ეკოსანიტარიასა და წყლის კონსერვაციასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საქმიანობას წარმოადგენს კომპოსტირება. კომპოსტი, რომელიც ორგანული ნივთიერებების გარდაქმნის შედეგად მიიღება, წარმატებით გამოიყენება ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების მიზნით.

ბუნებაში ნიადაგის ჰუმუსისგან გადარიბება რეგულარულად მიმდინარეობს, კომპოსტი კი შეიცავს მცენარისათვის აუცილებელ ყველა მაკრო- და მიკროელემენტს. ნებისმიერი სახის ორგანული ნივთიერება დროთა განმავლობაში კომპოსტად იქცევა, მაგრამ თვითნებური დაშლის პროცესს ბუნებაში ძალიან დიდი დრო (საუკუნეები) ესაჭიროება. კომპოსტი კი ქმნის კონტროლირებად გარემოს და ნარჩენები სწრაფად გარდაიქმნება მძლავრ, საკვები ნივთიერებებით მდიდარ მასად, რომელიც იდეალურია სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად. იგი ამარაგებს მცენარეს საკვები ნივთიერებებით და აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას. კომპოსტი არ შეიცავს ქიმიკატებს, რის გამოც იგი ძვირი სასუქების იაფ და ჯანსაღ ალტერნატივას წარმოადგენს.

სწორედ ამ საკითხს ეხება შოთა რუსთველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობაში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, კერძოდ, საპილოტე რეგიონში სოფლის მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხებისა და კომპოსტად გადამუშავების მეთოდის შეთავაზება მათივე უშუალო ჩართვით ამ პროცესში.

კვლევის ობიექტად შერჩეულია მცირედ დასახლებული სოფელი არგოხი (ახმეტის რაიონი), სადაც ყველა ოჯახს შევთავაზებთ საკომპოსტე ყუთების/მოცულობების დადგმას ან დამზადებას. აქ ისინი ჩაყრიან და შეაგროვებენ ყველა ორგანულ მასალასა და ბუნებრივ გამამდიდრებელს, რაზეც ადვილად და იაფად მიუწვდებათ ხელი. ჩვენს მიერ შეთავაზებული მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი პირობების შექმნისას, მოკლე დროში, ისინი საუკეთესო კომპოსტს მიიღებენ, რომელსაც ორგანული სასუქის სახით, ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად გამოიყენებენ, რაც, საბოლოო ჯამში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღების წინაპირობას შექმნის. სოფ. არგოხში წარმატებით ფუნქციონირებს შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით დაარსებული ეკოლოგიური მეორნეობა.

აღნიშნული მიდგომა სოფლის მოსახლეობას უზიძგებს ნარჩენების გადახარისხებისაკენ, რაც საუკეთესო გზაა ადამიანის ცნობიერების ასამაღლებლად. მოსალოდნელი შედეგებით ფაქტიურად რამდენიმე სასარგებლო საქმე გაკეთდება: საზოგადოებაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების კულტურის ჩამოყალიბება; გარემოში ნარჩენების რაოდენობის შემცირება და შესაბამისად, ნაგვის გატანის ხარჯების შემცირება; არსებული ნარჩენების გადამუშავებით სოფლის მოსახლეობაში ორგანული სასუქის (კომპოსტის) დამზადების უნარის გამომუშავება; ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება იაფი ბიო- სასუქის გამოყენებით, რაც შხამქიმიკატების საპირწონედ, საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღების წინაპირობის შექმნა; მოსახლეობის სენსიბილიზაცია აღნიშნული საკითხის მიმართ; შესაბამისი უწყებების (გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ეკონომიკის სამინისტროები; რეგიონული და არასამთავრობო ორგანიზაციები) ინფორმირება მიღწეულ შედეგებზე; მომავალში ქვეყნის სხვა რეგიონებშიც მსგავსი პროექტების განხორციელებისათვის წინაპირობის შექმნა და სხვ.